11/09/2025

MES 4 25 0001115509

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 26 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ალინა კუპრავა;
მაია გრიგალაშვილი;
გვანცა პაკატილოვი;
ბექა ადუაშვილი;
დავით ბიტმალკიშევი;
თეა ბარამაშვილი;
თორნიკე თუთარაშვილი;
მედეა ზურაბიშვილი;
ქეთევან ღვანიძე.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კასპის კოლეჯი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ქეთევან ჭუჭულაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო მაზმიშვილი
სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის კოორდინატორი - თამარ ბაინდურაშვილი

შპს სქილვილი
დირექტორი - გიორგი მარიამიძე
აკადემიური დირექტორი - კონსტანტინე შუბითიძე
ადმინისტრაციული დირექტორი - ნინო მელიქიძე
ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი - მარიამ მსხალაია
იურისტი - სოფო ყიფშიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ კასპის კოლეჯისთვის მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს სქილვილის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს სქილვილისთვის „Front-end დეველოპმენტის", პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს სქილვილისთვის "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს სქილვილისთვის "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს სქილვილისთვის "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს სქილვილისთვის "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ კასპის კოლეჯისთვის მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 24/07/2025 წლის N 912692 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კასპის კოლეჯში "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება. ვიზიტი განახორციელდა 2025 წლის 31 ივლისს ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით,სასწავლო პროცესის მიზნებისთვის კოლეჯს გააჩნია A ტიპის აუდიტორია და C ტიპის სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად. თითოეული გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით; სახელოსნოში განთავსებულია საჭირო რაოდენობის პერსონალური საკერავი მანქანები სტუდენტების ინდივიდუალური გამოყენებისთვის. აუდიტორიები

უზრუნველყოფილია დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, დაფითა და სხვა აუცილებელი რესურსებით. პროგრამას თან ერთვის დანართის სახით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების სია, რომლის რეალური არსებობა დადასტურებულია ადგილზე დათვალიერებისა და შესაბამისი შესყიდვის აქტების საფუძველზე. მოდულის „საწარმოო პრაქტიკის“ კომპონენტის რეალიზაციის მიზნით გაფორმებულია მემორანდუმი შპს „პრემიერა ტმ“-თან. დოკუმენტით განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის კომპონენტის გავლის შესაძლებლობა. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდა მათი მზაობა, მიიღონ სტუდენტები და უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯის, ისე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური ბაზით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის — 30 სტუდენტის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის — 4 დარგობრივი სპეციალისტი (განმახორციელებელი პირი). მასწავლებელთა შერჩევა განხორციელებულია კოლეჯის მიერ დადგენილი შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ პროფესიულ შესაბამისობას კონკრეტული მოდულების განხორციელებისთვის. ყველა განმახორციელებელი პირის პროფესიული კვალიფიკაცია დადასტურებულია მათ პირად საქმეთა დოკუმენტაციითა და შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით, რომლებიც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმატით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. მათ შორის შედის დარგობრივი ლიტერატურა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული მასალები. პროფესიული სტუდენტები და სარგებლობენ აღნიშნული რესურსებით სპეციალურად აღჭურვილ სამკითხველო დარბაზში, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, კომპიუტერებითა და პრინტერული ტექნიკით. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ინტერნეტის გამოყენებით მოძებნონ საჭირო ინფორმაცია, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის პროფესიონალური კონსულტაცია. მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზე (https://kc.edu.ge/wp-content/uploads) თავისუფალი წვდომის რეჟიმში. კოლეჯის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერული მექანიზმის გამოყენებით. კოლეჯს აქვს შემუშავებული პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, რომელიც განსაზღვრავს ფინანსურ რესურსებსა და ხარჯებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რამდენადაც საგანმანათლებლო სტანდარტი ახალია, ხომ არ იყო საჭიროება, რომ კოლეჯს შეეძინა დამატებითი მატერიალური აღჭურვილობა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ახალი საგანმანათლებლო სტანდარტი რაიმე განსაკუთრებული აღჭურვილობის შეძენას არ საჭიროებს, საქმე ეხებოდა ტექნოლოგიურ სიახლეებს, მცირე ზომის ელემენტებს, რაც კოლეჯს ჰქონდა შეძენილი.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზის შემდეგი კითხვა ეხებოდა პრაქტიკის ობიექტს, რომელიც არის თბილისში, როგორ მოხდებოდა სტუდენტების ტრანსპორტირების ორგანიზება.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ კასპიდან თბილისის მიმართულებით უკეთ მოძრაობს ტრანსპორტი, ვიდრე გორის მიმართულებით და არ იქნებოდა პრობლემა.

აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმაც დაამატა, რომ წინა პროგრამის ფარგლებში იყო კოლეჯში ეს პრაქტიკა და არ ყოფილა შეფერხებები, მით უმეტეს რომ პრაქტიკის ხანგრძლივობა სულ ორი კვირაა და ტრანსპორტირების ხარჯს პროფესიული სტუდენტი თავად ეწევა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რადგანაც დარგის ექსპერტი უშუალოდ იყო ჩართული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებაში, როგორია მისი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამკერვალო წარმოების სტანდარტის გადამუშავებისას, კვალიფიკაციის დონე გაიზრდა, დაემატა მეორე არჩევითი მოდული - სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლი, თუმცა ყველა კოლეჯი ირჩევს - ქართული ეროვნული სამოსის მოდულს, რომელიც გადამუშავებამდეც იყო. აქედან გამომდინარე, რა დამატებით კომპონენტებს სთავაზობს ახალი, მოდის ტექნოლოგია და დიზაინის პროფესიული პროგრამა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დამსაქმებლისა და ინდუსტრიის მოთხოვნების დაკმაყოფილება და არა მხოლოდ წინა, სამკერვალო წარმოების პროგრამის სახელის ფორმალური გადარქმევა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ არჩევითი, ახალი, სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლის მოდულის განხორციელება მოითხოვს კოლეჯთან ახლოს პარტნიორი კომპანიის არსებობას, სადაც უნდა განხორციელდეს ამ მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა, რისი საშუალებაც კასპში არ არსებობდა. ამდენად, კოლეჯმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა მეორე არჩევითი მოდული აირჩია, რაც შეეხება საგანმანათლებლო სტანდარტის მოდიფიცირებას, ძირითადად მოხდა მოდულების გამსხვილება, რათა კურსდამთავრებულებს შეძლებოდათ მეტი კომპეტენციები მიეღოთ და დასაქმების მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კასპის კოლეჯისთვის მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კასპის კოლეჯს (ს/კ: 205405480) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: შპს სქილვილის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. შპს ,,სქილვილის" (მის:ქ. თბილისი, ნიკიფორე ირბახის ქ. 17.) მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე)ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით, (არაგეგმიური მონიტორინგი, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 ივლისის N860706 ბრძანება.) 2025 წლის 21 ივლისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, ქ. თბილისში, ნიკიფორე ირბახის ქ. 17-ში. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია და თანდართული მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე, შეაჯერეს თავიანთი პოზიციები და შეიმუშავეს ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების აკადემიურ დირექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულება სწავლების პროცესს უზრუნველყოფს თანამედროვე, სრულ ფუნქციური LMS პლატფორმით, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს ელექტრონული სწავლების ორგანიზების მიმართულებით. LMS უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას და სტუდენტების ჩართულობას შემდეგი შესაძლებლობებით:

● უსაფრთხო და პერსონალიზირებული რეგისტრაცია, მონაცემთა დაცვის სტანდარტების დაცვით;

● სტუდენტის ინდივიდუალური პროფილი და დეშბორდი, სადაც ასახულია კურსის პროგრესი, შეფასებები, მომავალი ლექციები და დავალებების დედლაინები;

● დეტალურად გაწერილი სილაბუსები, ლექციების ჩანაწერები, პრე/პოსტ მასალები და დავალებები;

● ინოვაციური AI ტუტორი, რომელიც სტუდენტებს მყისიერად ეხმარება კითხვებზე პასუხითა და ქვიზების გენერირებით;

● კარიერული სექცია რბილი უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის;

● სტუდენტთა ჩართულობის (Engagement) და კმაყოფილების (NPS) სისტემატური მონიტორინგი, რაც ხელს უწყობს ხარისხის მართვასა და პერსონალის მოტივაციას. აღნიშნული პლატფორმა სრულად იმართება ადმინისტრატორის მიერ და უზრუნველყოფს კურსების დაგეგმვის, შეფასების და კომუნიკაციის პროცესების გამართულ და ეფექტურ მიმდინარეობას. აღსანიშნავია, რომ პლატფორმა მორგებულია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით და წარმოადგენს ტექნოლოგიური მხარდაჭერის მაღალ ხარისხს, რაც უწყობს ხელს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული პლატფორმა გამოირჩევა მრავალმხრივი ფუნქციონალით, მაღალი ინტეგრირებულობითა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით, რის გამოც იგი საუკეთესო გამოცდილების მაგალითად იქნა მიჩნეული.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

● ინდიკატორი 4.1.1.2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას-დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.09.2025) უზრუნველყოფს პერსონალის მართვასა და დაწესებულების ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვას, განხილვას, განახლებას და ჰარმონიზაციას;

● ინდიკატორი 4.1.1.3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს-დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.09.2025) უზრუნველყოფს პერსონალის მართვასა და დაწესებულების ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვას, განხილვას, განახლებას და ჰარმონიზაციას;

● ინდიკატორი 5.1.1.2 - დაწესებულების ინფრასტრუქტურა მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (03.07.2025-31.07.2025) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და ინვენტარის ნაწილის ადგილზე განთავსებას;

● ინდიკატორი 5.1.2.1 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები- დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (27.06.2025-30.07.2025) წარმოადგენს დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობა-ნაგებობაზე დაასრულებს შიდა მოპირკეთების სამუშაოებს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულს ვადაში (15.02.2025 -30.07.2025)
● ინდიკატორი 5.1.2.4 - დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას- დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.02.2025-20.08.2025) უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობაზე, მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო კამერების სისტემის მოწყობას.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა) დაწესებულებას 4.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, კიდევ ერთხელ გადახედონ ,,შპს სქილვილის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს" და ,,შპს სქილვილის დებულების" დოკუმენტებს, მოახდინონ დუბლირებების აღმოფხვრა და ერთმანეთთან თავსებადობა. ბ) შპს სქილვილის ,,საქმისწარმოების წესის", მე-8 მუხლით გაწერილია ,,დაწესებულის წევრთა პირადი საქმეები", ასევე აღნიშნული საკითხი, გაწერილი აქვთ ,,პოლიტიკის მართვის დოკუმენტში" ექპერტთა მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ეს ჩანაწერი დარეგულირდეს ერთ დოკუმენტში ან მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში.(ინდიკატორი 4.1.2.3); გ) დაწესებულებას 5.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთან მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია საქმისმწარმოებლის დამატების ან მისი ფუნქციის თბილისის ლიკაციაზე, რომელიმე თანამშრომლისთვის შეთავსების. სრულად იხილეთ (5.2.2.1. ინდიკატორი).

ექსპერტის განცხადებით,შპს სქილვილის დებულება, შპს სქილვილის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და ამ სტრუქტურებში შემავალი პირების ფუნქციები. კერძოდ, სქილვილის დებულების თანახმად, სტრუქტურა ფარავს შემდეგ მიმართულებებს: მმართველობითი, ადმინისტრაციული და ხარისხის მართვის სამსახური. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის, შპს ,,სქილვილვილის" პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და შინაგანაწესი თანამშრომლებისთვის შესაბამისად. ,,პერსონალის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტის მიზანია პერსონალის მართვის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს შპს „სქილვილ"-ის სტრატეგიული გეგმის მიზნების მისაღწევად მისი პერსონალის ეფექტიანად გამოყენებას და ასევე პერსონალის მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. დაწესებულების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის განვითარება იგეგმება შემდეგ შემთხვევებში: პერსონალის განვითარებისათვის კოლეჯი ატარებს ინდივიდუალურ და ზოგად გამოკითხვებს პერსონალის საჭიროებების დასაიდენტიფიცირებლად. საჭიროების შემთხვევაში, ატარებს ტრენინგებს, აფინანსებს პერსონალის კონფერენციებზე დასწრებას.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით,დაწესებულება შპს ჰაივ მოედანი (ს/კ 405731891) 2025 წლის 15 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში 8 წლის ვადით ფლობს ფართს შენობის -1, 1, 2, 3, 4 სართულებს ჯამურად - 1970.7 კვ.მ საიჯარო ფართი მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ნიკიფორე ირბახის ქუჩა N17. საკადასტრო კოდზე: 01.17.01.050.029.07.500 წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართით, რომელიც მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფართების აზომვითი ნახაზების ანალიზითა და შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია შემდეგი ფართების არსებობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა/რესურსცენტრი (ინდივიდუალური ბოქსებით), კაფეტერია, სივრცე არქივისთვის, პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი . შესაბამისად, დადასტურებულია, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, კომპანიას განსაზღვრული ჰყავს დაწესებულებისთვის შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტი. წარმოდგენილია განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი. ვიზიტის პერიოდში შედგა ინტერვიუ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების ფარგლებში წარმართავს დაწესებულებაში თავის საქმიანობას. დაწესებულების მიერ შემუშავებულია ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უწყვეტ წვდომას საჭირო საგანმანათლებლო მასალებზე და ტექნიკურ რესურსებზე. სქილვილის სასწავლო რესურსები ამ ეტაპზე სრულად გაციფრულებული და არსებობს საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული კატალოგი. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სასწავლო მასალა, მათ შორის ვიდეოჩანაწერები, ელექტრონული წიგნები და რესურსები, რომლებიც დაეხმარება პროფესიულ სტუდენტებს ცოდნის მიღებასა და პროფესიულ განვითარებაში. რადგან სასწავლო პროცესი ამ ეტაპზე დაწყებული არ არის, შეუძლებელია ინტერვიუს შედეგებით სტუდენტთა რესურსზე ხელმისაწვდომობის დადგენა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. არსებული IT ინფრასტრუქტურა გამოყენებულია სასწავლო პროცესის წარმართვისა და ადმინისტრაციული პროცესებისათვის. დაწესებულების IT ინფრასტრუქტურის ფლობა დადასტურებულია, შესყიდვის ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით. დაწესებულების სარგებლობაში/მფლობელობაშია ჯამში 560 ლეპტოპი. გარდა ამისა, დაწესებულებას გააჩნია 18 ინტერაქციული (smart) დაფა, რომელიც განთავსდება თითოეულ აუდიტორიაში. დაწესებულებას შეძენილი აქვს 5 პრინტერი (კომბაინი). ინტერნეტ-მომსახურება უზრუნველყოფილია იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა დაწესებულებაში ინტერნეტის არსებობა, მათ შორის, დაწესებულება უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ დაფარვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის დებულება“ და ,,ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა“. დაწესებულებაში უკვე დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow. კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულების

ფარგლებში კომპანიას შესყიდული აქვს 2 მომხმარებელი (user). ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლებისთვის, მათ შორის საქმისწარმოების სპეციალისტისთვის ჩატარდა ტრენინგი ელექტრონულ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ განაპირობა ის, რომ ბათუმში ავტორიზაციის გავლისას კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისობაში სტანდარტებთან, თბილისში კი მეტწილ შესაბამისობაში შეფასდა იგივე დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კოლეჯმა ბათუმის ავტორიზაციის შემდეგ შეცვალა მარეგულირებელი დოკუმენტები, ვერ მოასწრეს სრულად განახლება, ამიტომ შესაბამისობის გეგმით შემოიტანეს განაცხადი. ალბათ დაწესებულება უკეთ განმარტავს მიზეზს, განაცხადა ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე დაინტერესდა ვიდეო გაკვეთილებით, მისი აზრით, სტუდენტის ინტერაქტიურობა ვიდეო გაკვეთილების დროს მინიმუმამდეა დაყვანილი, რა ეფექტს აძლევს დაწესებულებას ვიდეო გაკვეთილების გამოყენება და რა შემთხვევებში იყენებენ მას.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა ძალიან სრულყოფილი LMS პლატფორმა, რომელსაც ბევრი ფუნქცია აქვს, ჩაშენებულია ვიდეო გაკვეთილები, აღირიცხება სტუდენტთა დასწრება, ხდება მასწავლებელთა შეფასებაც, ამ პლატფორმას დაწესებულება წარმატებით იყენებდა არაფორმალური განათლების მიზნებისთვის, რისი დიდი გამოცდილებაც აქვთ. მართალია, რეგულაციებში არ აქვთ დეტალურად გაწერილი ამ პლატფორმის კონცეფცია, მაგრამ ვიზიტის დროს წარმოადგინეს ძალიან ვრცელი და დეტალური პრეზენტაცია, ასევე, ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს ნარატიული აღწერაც, რაც დასკვნასა და პრეზენტაციაში იქნა გადმოტანილი, აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ორივე დასმულ კითხვას გასცა პასუხი, პირველი ეხებოდა დოკუმენტაციის განახლებას, რაზეც აღნიშნა, რომ მათ სწრაფ რეჟიმში სცადეს ბათუმის ვიზიტის შემდეგ განმავითარებელი რეკომენდაციების გათვალისწინებით დოკუმენტაციის განახლება და ამ რეჟიმში დაუშვეს შეცდომები, თუმცა შესაბამისობის გეგმაშიც მიუთითეს. 31 აგვისტომდე ეს დოკუმენტაცია სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი. რაც შეეხება LMS სისტემის საშუალებით ვიდეო გაკვეთილების გამოყენებას, რამდენადაც, არ არსებობს ქართულ ენაზე სასწავლო რესურსები, ეს ვიდეო გაკვეთილები ფაქტობრივად განმახორციელებლების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსებია, რაზე წვდომაც გაეხსნება ჩარიცხულ სტუდენტებს. ვიდეო გაკვეთილებს ვიყენებთ, როგორც დამხმარე საშუალებებს, ძირითადად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სინქრონულად. გარდა ამისა, პლატფორმაში ჩაშენებულია ე.წ. AI ტუტორი , რომლის საშუალებითაც სტუდენტების არცერთი კითხვა არ რჩება პასუხგაუცემელი, ასევე, პლატფორმაში ჩაშენებულია და სტუდენტის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია განმახორციელებლებთან ინდივიდუალური კონსულტაცია, რაშიც მასწავლებელი დამატებით ანაზღაურებას იღებს. ასევე, კარგად მუშაობს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც ექსტრა კურიკულარულ აქტივობებსაც მოიცავს. 48

თემისგან შედგება კარიერული ზრუნვის სილაბუსი, ეს არის დამატებითი მომსახურება, რასაც დაწესებულება უწევს სტუდენტებს. LMS პლატფორმა არ არის ქართულ სერვერებზე განთავსებული, არამედ AMAZON-ის ვებსერვერებზეა განთავსებული, რაც მეტი დაცულობის გარანტიას იძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სქილვილის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სქილვილში (ს/კ: 406258730) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს სქილვილში 4.1 და 5.1 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 სექტემბერი.

მესამე საკითხი: შპს სქილვილისთვის „Front-end დეველოპმენტის", პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 ივლისის N860702 ბრძანების საფუძველზე ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს სქილვილში (მისამართი: ქ. თბილისი, ნიკიფორე ირბახის 17) 2025 წლის 23 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. შპს ,,სქილვილმა“ განაცხადი გააკეთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტის“ დამატების შესახებ. ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი განაცხადი და თანდართული მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეაჯერეს თავიანთი პოზიციები და შეიმუშავეს დღის წესრიგი. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების აკადემიურ დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი წარიმართა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტის 2.2.1 ინდიკატორი პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.08.2025) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა) დაწესებულებას 2.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო მასალებს პერმანენტული განახლება სჭირდება. აქედან გამომდინარე, უმჯობესია მასწავლებლებმა დამატებით მოიძიონ და განაახლონ სასწავლო რესურსები საკუთარი მოდულების ფარგლებში. უმჯობესია შექმნან სასწავლო რიდერები (საკითხავები) ქართულ ენაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“

ექსპერტის განცხადებით,პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით დაწესებულებას 2.2.1 ინდიკატორის ფარგლებში

წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N1507_23 ბრძანებით.(შევიდა ცვლილება შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის N1507_24 და შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N00013710 ბძანებებით), რომლის თანახმად დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას უზრუნველყოფს 2025 წლის 20 აგვისტოსთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწყებული აქვთ განსახორციელებელი აქტივობები კერძოდ, გაფორმებული აქვთ შესყიდვის ხელშეკრულებები და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ შპს ,,სქილვილს“ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ნაწილი უკვე შესყიდული ჰქონდა და იყო დასაწყობებული. დაწესებულების ,,სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ -ს თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. ავტორიზაციის მიზნებისთვის დაწესებულებას პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები/შეთანხმებები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,Front - end დეველოპმენტი“ პროგრამას ხელმძღვანელობს კომპეტენტური პირი რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ეფექტურ განხორციელებაზე, საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგზე და სწავლის შედეგების მიღწევაზე. თითოეულ სასწავლო მოდულს ჰყავს ორი კვალიფიციური განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სრულყოფილად გადაცემას. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს 23 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 16 ახორციელებს ზოგად მოდულებს, მათ შორის ქართული ენის მოდულებს, ხოლო 7 პროფესიულ მოდულებს. მათი საათობრივი დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონი - შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი სრულად არის გაციფრულებული, მათ შორისაა განმახორციელებელთა მიერ მომზადებული ვიდეო რესურსები. ისინი ხელმისაწვდომია და გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში. სასწავლო რესურსების ორგანიზებული და ეფექტური მართვის მიზნით, „სქილვილში“ მოქმედებს შემდეგი შიდა დებულებები და რეგულაციები: შპს „სქილვილი“-ს ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი - განსაზღვრავს, როგორ უნდა გამოიყენონ სტუდენტებმა და თანამშრომლებმა ელექტრონული ბიბლიოთეკა და რესურსცენტრი; მოიცავს ბიბლიოთეკის მოხმარების წესებს, ძიების სისტემას და მასალებზე წვდომის პირობებს; ადგენს რეგულაციებს საავტორო უფლებებისა და მასალების გამოყენების ეთიკური ნორმების შესახებ. ,, სქილვილში“ რეგისტრაციისა და ვებსაიტით სარგებლობის წესები და პირობები - აღწერს, როგორ უნდა გაიარონ მომხმარებლებმა რეგისტრაცია „სქილვილის“ ვებსაიტზე; განსაზღვრავს, რა პირობებით შეუძლიათ სტუდენტებს და პერსონალს სასწავლო პლატფორმაზე წვდომა სადაც განთავსებულია რესურსი,; მოიცავს კონფიდენციალურობის პოლიტიკას, უსაფრთხოების სტანდარტებს და მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი - განსაზღვრავს ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოებისა და სხვა ბეჭდური რესურსების სარგებლობის რეგულაციებს; მოიცავს სასწავლო რესურსების სესხების, დაბრუნებისა და შენახვის წესებს; ადგენს პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრებათ მომხმარებლებს ბიბლიოთეკის წიგნების ან სხვა ფიზიკური რესურსების გამოყენებისას. ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი - წარმოადგენს ციფრულ რესურსების ერთიან ბაზას (საკითხავ და ვიდეო ლექციებს), რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის; მოიცავს სხვადასხვა სასწავლო მასალას, სახელმძღვანელოებს, ლექციების ჩანაწერებს, კვლევით სტატიებსა და სხვა საჭირო დოკუმენტებს; ხელმისაწვდომია

სქილივილის ონლაინ პლატფორმაზე, რაც ამარტივებს მასალების მოძიებასა და გამოყენებას. აღნიშნული დებულებები და რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ „სქილვილის“ საგანმანათლებლო რესურსები იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, ადაპტირებული თანამედროვე ტექნოლოგიებთან და სრულად პასუხობდეს სტუდენტებისა და მასწავლებლების საჭიროებებს. იმ გამოცდილების საფუძველზე რაც სქილვილს უკვე გააჩნია არაფორმალური თუ ფორმალური განათლების სფეროში, დადასტურებულია რომ შპს "სქილვილში" სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს.. ეს მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტების ინდივიდუალურ სასწავლო პროცესს, აძლევს მათ შესაძლებლობას, საკუთარი ტემპით აითვისონ მასალა და დააკავშირონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოცდილებასთან. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება; კეთება ინსტრუქტაჟი და სხვა. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. მეცადინეობები ტარდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL – Problem-Based Learning) პრინციპებით, რაც გულისხმობს რეალური პროექტების, ქეისების და სიმულაციების გამოყენებას, რათა სტუდენტებმა შეძლონ პრაქტიკაში გადმოიტანონ შეძენილი ცოდნა. სასწავლო სივრცე აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკით. სტუდენტებს ექნებათ წვდომა ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებზე და ინდუსტრიის წამყვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე, რაც მათ გაუმარტივებს უნარების დაუფლებას და რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას. დისტანციური გაკვეთილები შეიძლება ჩატარდეს Zoom-ის და სხვა თანამედროვე პლატფორმების გამოყენებით, ხოლო სასწავლო მასალები და დავალებები ხელმისაწვდომია Learning Management System (LMS) პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და სწავლების უწყვეტობას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ გასცეს ექსპერტებმა ახალ საგანმანათლებლო სტანდარტზე დაფუძნებულ სამი პროგრამის - „Front-end დეველოპმენტი", "გრაფიკული დიზაინი", "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" - შეფასებისას, თითქმის ერთიდაიგივე განმავითარებელი რეკომენდაცია 2.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, რომლის შესაბამისად, სასწავლო მასალების მუდმივი განახლება არის მნიშვნელოვანი. რეკომენდაციიდან გამომდინარე, რა ნიშნებით შეუძლია კოლეჯს განსაზღვროს, რომ არსებული რესურსი უკვე მოითხოვს გადახედვასა და განახლებას.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო მასალებს პერმანენტული განახლება სჭირდება. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, მასწავლებლებმა დამატებით მოიძიონ და განაახლონ სასწავლო რესურსები საკუთარი მოდულების ფარგლებში. უმჯობესია, შექმნან სასწავლო რიდერები (საკითხავები) ქართულ ენაზე. ექსპერტებმა განმარტეს, რომ მუდმივი თვალყურის დევნება სჭირდება დარგის სიახლეებს, ტექნოლოგიებს, რაზეც მუდმივი წვდომა უნდა ჰქონდეს მასწავლებლებს, განახლებულ მოდულებში არის სიახლეები, რაც მოითხოვს, დამატებით, რიდერების შექმნას ქართულ ენაზე, ამიტომ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, უპასუხეს დარგის ექსპერტებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,შპს სქილვილისთვის „Front-end დეველოპმენტის", პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს სქილვილს (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი", **(დანართი 2).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს სქილვილში 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 სექტემბერი.

მეოთხე საკითხი: შპს სქილვილისთვის "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 ივლისის N860702 ბრძანების საფუძველზე ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს სქილვილში (მისამართი: ქ. თბილისი, ნიკიფორე ირბახის 17) 2025 წლის 23 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. შპს ,,სქილვილმა“ განაცხადი გააკეთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის“ დამატების შესახებ. ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი განაცხადი და თანდართული მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეაჯერეს თავიანთი პოზიციები და შეიმუშავეს დღის წესრიგი. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების აკადემიურ დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი წარიმართა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტის 2.2.1 ინდიკატორი პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.08.2025) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.5 ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია ,Empower Second Edition“ - არის სახელმძღვანელოების ზოგადი დასახელება და დააზუსტოს მოდულის სწავლის შედეგების თემატიკის მიხედვით, კონკრეტულად რომელ სახელმძღვანელოებს გამოიყენებს სასწავლო პროცესის დროს. პროფესიულ მოდულების: ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება“; ,,ვექტორული გრაფიკა CorelDRAW”; ,,ციფრული და ბეჭდური პუბლიკაციის მაკეტის შექმნა InDesign”; ,,დოკუმენტის ვიზუალური მასალით გაფორმება და ბეჭდვისთვის მომზადება“; ,,ვიზუალური ბრენდინგისა და იდენტობის შექმნა“; ,,UI/UX პრინციპები და შესავალი“; ,,თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში“; ,,2D ანიმაციის შექმნა“; ,,პრაქტიკული პროექტი/პორტფოლიო“ და ,,გრაფიკული დიზაინის გამოყენება თამაშების შექმნასა და სამგანზომილებიან გრაფიკაში“ - დაწესებულებას აქვთ მხოლოდ ინგლისურენოვანი რესურსები. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია 2.2.1.5 ინდიკატორთან მიმართებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყონ ქართულენოვანი სასწავლო რესურსის შექმნა და მოძიება სწავლის შედეგების თემატიკების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,გრაფიკული დიზაინი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა შპს ,,სქილვილის“ კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც

პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები განხორციელდება A, B და C გარემოში, რომელიც მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით. კოლეჯში მოწყობილია პროფესიული მოდულების განსახორციელებლად B გარემო 160 პროფესიული სტუდენტის კომპიუტერით, 4 პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპიუტერით, 4 დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, 1 ფერადი საბეჭდი მოწყობილობით, 220 პროფესიული სტუდენტების სასწავლო მაგიდით და 220 სკამით, 4-4 პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდით და სკამით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,გრაფიკული დიზაინი" ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარით დაკომპლექტებულია A გარემო. რაც შეეხება C გარემოს, სადაც განხორციელდება პროფესიული მოდული ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება" განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი. კოლეჯის წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ აღნიშნული პროფესიული მოდულისთვის მატერიალური რესურსით იქნებიან უზრუნველყოფილნი სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რომელიც ასახულია შპს ,,სქილვილის" შესაბამისობის გეგმაში. სასწავლო პროცესი სრულად განხორციელდება დაწესებულებაში, რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში. ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. პროფესიული სტუდენტები პროფესიას სწავლობენ ზუსტად ისე, როგორ დავალებასაც მიიღებენ დასაქმების ადგილზე. ამის შესაძლებლობას გარემოს გარდა, იძლევა მაღალი კომპეტენციის დარგის სპეციალისტების გამოცდილება და სწავლების პროცესის დაგეგმვის მიდგომები. აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ჯამში 440 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. აქედან კოლეჯი 200 პროფესიული სტუდენტის მიღებას გეგმავს დისტანციური სწავლებისთვის, სულ - 5 ჯგუფი, ჯგუფში 40-40 პროფესიული სტუდენტი და 240 პროფესიული სტუდენტის მიღებას სააუდიტორიო სწავლებისთვის, სულ - 6 ჯგუფი, 2 ცვლაში. კოლეჯი ჯგუფებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადანაწილებას გეგმავს შემდეგნაირად - ორ ცვლაში 50+50+20 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულება გეგმავს თეორიული მეცადინეობის შემდეგ, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ჯგუფების გაყოფას, დისტანციური სწავლების შემთხვევაში 20-20 პროფესიული სტუდენტი ჯგუფში, ხოლო სააუდიტორიო სწავლებისას 25-25 პროფესიული სტუდენტი. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 440 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს 27 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 12 ახორციელებს ზოგად მოდულებს, მათ შორის ქართული ენის მოდულები, ხოლო 15 პროფესიულ მოდულებს, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სქილვილისთვის "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს სქილვილს (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "გრაფიკული დიზაინი" **(დანართი 3).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს სქილვილში 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 სექტემბერი.

მეხუთე საკითხი: შპს სქილვილისთვის "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 ივლისის N860702 ბრძანების საფუძველზე ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს სქილვილში (მისამართი: ქ. თბილისი, ნიკიფორე ირბახის 17) 2025 წლის 23 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. შპს ,,სქილვილმა“ განაცხადი გააკეთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ დამატების შესახებ. ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი განაცხადი და თანდართული მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეაჯერეს თავიანთი პოზიციები და შეიმუშავეს დღის წესრიგი. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების აკადემიურ დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი წარიმართა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტის 2.2.1 ინდიკატორი პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.08.2025) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა) დაწესებულებას 2.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო მასალებს პერმანენტული განახლება სჭირდება. აქედან გამომდინარე, უმჯობესია მასწავლებლებმა დამატებით მოიძიონ და განაახლონ სასწავლო რესურსები საკუთარი მოდულების ფარგლებში. უმჯობესია შექმნან სასწავლო რიდერები (საკითხავები) ქართულ ენაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ექსპერტის განცხადებით,პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით დაწესებულებას 2.2.1 ინდიკატორის ნაწილში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N1507_23 ბრძანებით.(შევიდა ცვლილება შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის N1507_24 და შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N00013710 ბრძანებებით), რომლის თანახმად დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას უზრუნველყოფს 2025 წლის 20 აგვისტოსთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწყებული აქვთ განსახორციელებელი აქტივობები კერძოდ, გაფორმებული აქვთ შესყიდვის ხელშეკრულებები და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ შპს ,,სქილვილს“ პროგრამის

განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ნაწილი უკვე შესყიდული ჰქონდა და იყო დასაწყობებული. . პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროგრამას ხელმძღვანელობს კომპეტენტური პირი რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ეფექტურ განხორციელებაზე, საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგზე და სწავლის შედეგების მიღწევაზე. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს 19 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 13 ახორციელებს ზოგად მოდულებს, მათ შორის ქართული ენის მოდულებს, ხოლო 6 პროფესიულ მოდულებს. მათი საათობრივი დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონი - შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის ფარგლებში პარტნიორი საწარმო არ არის გათვალისწინებული, პროგრამა სრულად ხორცილდება კოლეჯში. თუმცა, შპს სქილვილი თანამშრომლობს რამდენიმე წამყვან კომპანიასთან შპს ,,ქიფზ.მი“ და შპს ,,სვიფტ ჯორჯია“-თან, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებს, რომ მხარეები ხელს შეუწყობს პროგრამის პოპულარიზაციას, პროფესიული პროგრამების განვითარებას, სფეროში პროფესიონალების შემდგომ დასაქმებას და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სქილვილისთვის "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს სქილვილს (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" **(დანართი 4).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს სქილვილში 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 სექტემბერი.

მეექვსე საკითხი: შპს სქილვილისთვის "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 ივლისის N860702 ბრძანების საფუძველზე ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს სქილვილში (მისამართი: ქ. თბილისი, ნიკიფორე ირბახის 17) 2025 წლის 22 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. შპს ,,სქილვილმა“ განაცხადი გააკეთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ დამატების შესახებ. ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი განაცხადი და თანდართული მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეაჯერეს თავიანთი პოზიციები და შეიმუშავეს დღის წესრიგი. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების აკადემიურ დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი წარიმართა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტის 2.2.1 ინდიკატორი პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით

განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.08.2025) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ საჭიროებს მხოლოდ A და B სასწავლო გარემოს, (მოცემული პროგრამა არ მოითხოვს C სასწავლო გარემოს.). შესაბამისად შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - A სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული ორი აუდიტორია, რომელიც აღჭურვილი უნდა ყოფილიყო 40 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1 მონიტორი; ასევე B სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული ორი აუდიტორია, რომელშიც განთავსებული უნდა ყოფილიყო 40 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთული უნდა იყოს საბუღალტრო პროგრამის „Oris” დემო ვერსია. აგრეთვე 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი დემონსტრირებისთვის. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისი აუდიტორიები, თუმცა თითოეული აღჭურვილია მხოლოდ პროფესიული სტუდენტის 50 სამუშაო მაგიდით. პროფესიული პროგრამისათვის საჭირო სხვა მატერიალური რესურსი ვიზიტის მიმდინარეობისას აუდიტორიებში არ იყო განთავსებული, თუმცა დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა ამ მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი საბუთები და აგრეთვე დასაწყობებული, შეფუთული მატერიალური რესუსი, რომლის შემოწმება ვერ მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით, შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N1507_23 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა.(შევიდა ცვლილება შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის N1507_24 და შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N00013710 ბრძანებებით), სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია „მატერიალური რესურსების სრულყოფა“ შესასრულებლად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ერთი თვე (22.07.2025 დან–20.08.2025წ.–მდე). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით ჰყავს 25 პროფესიული მასწავლებელი, 8 დარგობრივი და 17 ზოგადი (მათ შორის ქართული ენის) მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები. პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული,

შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, შესაბამისად ყველა შედეგი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარეს კითხვა ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენელთან, კოლეჯის მხრიდან, რა სტრატეგიამ განაპირობა ბუღალტრული აღრიცხვის და აღმზრდელის პროგრამების დამატება, რამდენადაა თანხვედრაში ამ პროგრამების დამატება დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიასთან, რა გრძელვადიან ეფექტს ელოდება დაწესებულება და როგორ შეძლებს დაწესებულება, ის მაღალი ტექნოლოგიური სასწავლო პროცესი, რაც სხვა პროგრამების განხორციელებისას აქვს აღწერილი, ამ პროგრამებისთვისაც გამოიყენოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ სურდათ მხოლოდ აიტი ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროგრამები ყოფილიყო მათი ინტერესის სფერო. მისი თქმით, კოლეჯმა მოიკვლია საქართველოს რეალობაში რომელი პროგრამებია მოთხოვნადი, როგორც დამსაქმებლების, ასევე, სტუდენტების მხრიდან. სწორედ ამ მოკვლევას ეფუძნებოდა მათი არჩევანი, დაემატებინათ ბუღალტრული აღრიცხვა და აღმზრდელი, თუმცა, მომავალში აპირებენ გაზარდონ პროგრამების სპექტრი და რაოდენობა, უნდათ სხვადასხვა პროფესიის სტუდენტების ინტეგრაცია და ადაპტაცია მოახდინონ სწავლების პროცესშივე, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია. პროგრამების არჩევისას საფუძვლიანად იკვლევენ დასაქმების შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სქილვილისთვის "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს სქილვილს (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ბუღალტრული აღრიცხვა" **(დანართი 5).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს სქილვილში 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 სექტემბერი.

მეშვიდე საკითხი: შპს სქილვილისთვის "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 ივლისის N860702 ბრძანების საფუძველზე ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს სქილვილში (მისამართი: ქ. თბილისი, ნიკიფორე ირბახის 17) 2025 წლის 22 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. შპს ,,სქილვილმა“ განაცხადი გააკეთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელის“ დამატების შესახებ. ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი განაცხადი და თანდართული მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეაჯერეს თავიანთი პოზიციები და შეიმუშავეს დღის წესრიგი. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების აკადემიურ დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი წარიმართა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტის 2.2.1 ინდიკატორი პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით

განსაზღვრულ ვადაში (22.07.2025-20.08.2025) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალური რესურსების სრულყოფას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით,წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული AB გარემო, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ორი AB გარემო. თითოეული აღჭურვილი პროფესიული სტუდენტის 50 სამუშაო მაგიდით. პროფესიული პროგრამისათვის საჭირო სხვა მატერიალური რესურსი ვიზიტის მიმდინარეობისას აუდიტორიებში არ იყო განთავსებული, თუმცა დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისობას გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N1507_23 ბრძანებით.(შევიდა ცვლილება შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის N1507_24 და შპს სქილვილის დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N00013710 ბრძანებებით), სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილი „მატერიალური რესურსების სრულყოფა“ შესასრულებლად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ერთი თვე (22.07.2025 დან–20.08.2025წ.–მდე). საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა.ა.ი.პ. ქ. თბილისის ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოსთან (24.06.2025წ. 5 წლის ვადით) მემორანდუმის თანახმად ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო იღებს ვალდებულებას, უსასყიდლოდ, ყოველწლიურად უზრუნველყოს კოლეჯის „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო“ პროგრამის ფარგლებში არანაკლებ 80 (ოთხმოცი) სტუდენტის პრაქტიკული სწავლების განხორციელება სააგენტოს მიერ დაფუძნებულ თბილისის საბავშვო ბაგაბაღებში, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის, დადგენილი წესისა და განსაზღვრული ხანგრძლივობის შესაბამისად, ხოლო კოლეჯი იღებს ვალდებულებას ითანამშრომლოს სააგენტოსთან. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯი უზრუნველყოფს წლის განმავლობაში სააგენტოს არანაკლებ 10 (ათი) თანამშრომლის უსასყიდლოდ გადამზადებას, კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ არაფორმალური განათლების კურსზე, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. გრძელვადიანი თანამშრომლობის ფარგლებში, მხარეები თანხმდებიან, რომ მხარს დაუჭერენ ერთმანეთს პროფესიონალების დასაქმების ხელშეწყობით. და თანამშრომლობის ფარგლებში, განახორციელებენ მუდმივ კომუნიკაციას შესაძლო თანამშრომლობებზე და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებაზე . ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა დაკორექტირებული მემორანდუმი, კორექტირება შეეხო მემორანდუმის მოქმედების ვადას, რომელიც არ აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნას და დოკუმენტის მოქმედების 5 წლის ვადა, შეიცვალა 6 წლით. ასევე მემორანდუმში განისაზღვრა თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პრაქტიკის ობიექტი დაწესებულება, პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით და გაიწერა კონკრეტული მოდულები, რომლის განხორციელების ვალდებულებასაც იღებს პარტნიორი ორგანიზაცია საკუთარ ბაზაზე. დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა მემორანდუმის კორექტირებასთან დაკავშირებული მიმოწერა ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან, რომელიც უდასტურებს დაწესებულებას, რომ დოკუმენტის კორექტირებული ნაწილი და მემორანდუმის მოქმედების ვადის გაზრდა მისთვის მისაღებია და მზაობას აცხადებს მის ხელმოსაწერად. ექსპერტები გაესაუბრნენ ქ. თბილისის ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს,

რომელმაც დაადასტურა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ქ. თბილისში 190 ბაგა–ბაღია, პრაქტიკის ობიექტად კი შეარჩევს რამოდენიმე ბაგა–ბაღს ქ. თბილისის ყველა რაიონში, აქედან გამომდინარე კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, არჩევანის საშუალება ექნებათ პრაქტიკის ობიექტად აირჩიონ მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით ჰყავს 21 პროფესიული მასწავლებელი, 7 დარგობრივი და 14 ზოგადი (მათ შორის ქართული ენის) მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები. პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რა მოლოდინები ჰქონდა დაწესებულებას, რომ აიტი მიმართულების პროგრამებზე, რომლებსაც თბილისში სხვა კოლეჯებიც ახორციელებენ, ასეთი მაღალი კვოტის შესაბამისი აპლიკანტები, შემდგომ სტუდენტები ეყოლებათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამის მოლოდინს აძლევდათ ის გამოცდილება, რაც დააგროვა დაწესებულებამ, როგორც არაფორმალური განათლების პროვაიდერმა, ხოლო 2024 წლიდან, როგორც მომზადება-გადამზადების ფორმალური პროგრამების განმახორციელებელმა, ეს პროგრამები, განსაკუთრებით გრაფიკული დიზაინი, სადაც ყველაზე მეტ კვოტას ითხოვენ, არის ძალიან მოთხოვნადი, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე,, ასევე, ისინი არიან ბევრი სხვადასხვა პროექტების და დასაქმების ფორუმების მონაწილეები, გამოცხადებული გვქონდა წინასწარი პროფორიენტაციული შეხვედრები/რეგისტრაციები და უკვე 1600 მსურველია დაფიქსირებული მთლიანობაში ამ ხუთივე პროგრამაზე, ონლაინ ფორმატში გვაქვს კონსულტაციები, სადაც დეტალურად ვაცნობთ პროგრამების შინაარსს, სასწავლო პროცესის ინტენსივობას, ფიზიკურადაც მოდიან როგორც ბათუმში, უკვე თბილისშიც, აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რატომ გახდა საჭირო შესაბამისობის გეგმით განაცხადის გაკეთება, ხომ არ არსებობს რისკები, რომ ვერ მოესწრება ყველაფრის დასრულება სასწავლო წლის დაწყებამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდული აქვთ ყველაფერი, მაგრამ დაგვიანდა სარემონტო სამუშაოების დროული დასრულება, ახლა უკვე როგორც რემონტი, ისე აღჭურვა და კომპიუტერული პროგრამების ჩატვირთვა დასრულებულია. 10 სექტემბერს, საზეიმო გახსნაზე ვიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სქილვილისთვის "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს სქილვილს (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "აღმზრდელი" **(დანართი 6).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს სქილვილში 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 სექტემბერი.

მეორე საკითხის - მონიტორინგის ფარგლებში ჩანიშნული მონიტორინგი განხორციელდეს ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	კასპი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N168ვ
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ნიკიფორე ირბახის, ქ.17
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულს სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	200
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ნიკიფორე ირბახის, ქ. 17
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულს სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	440
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ნიკიფორე ირბახის, ქ. 17
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულს სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ნიკიფორე ირბახის, ქ. 17
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულს სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	160
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ნიკიფორე ირბახის, ქ. 17
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146